საიდ. N 80062/03

IR 1089698

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №13-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, ი. გიქორაშვილი, უ. ოშხნელი გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „აეროპოსტეილ პროკიურმენტ კომპანი, ინკ.“ (Aeropostale Procurement Company, Inc.) N13-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის N3283/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „PS4U“ (საიდ. N80062/03, IR 1089698) უარი ეთქვა დაცვის მინიჭება მე-9 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-9 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის N3283/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „PS4U“ ექვემდებარება ნაწილობრივ რეგისტრაციას, ვინაიდან მსგავსია მე-9 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალისთვის კომპანიის „კაბუშიკი კაიშა სონი კომპიუტერ ენტერტეინმენტ (ოლსოუ ტრეიდინგ ეზ სონი კომპიუტერ ენტერტეინმენტ ინკ.)“ “Kabushiki Kaisha Sony Computer Entertainment (also trading as Sony Computer Entertainment Inc.)” სახელზე მადრიდის შეთანხმების ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „PS4“ (რეგ. თარიღი: 19/02/2013, IR 1189769). ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება 4 ასოსგან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი სამი ასოსგან. ორივე ნიშანს აქვთ აღრევამდე მსგავსი პირველი ორი ასოს და მომდევნო ერთი ციფრის კომბინაცია: „PS4“. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთლიანად მოიცავს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს. მათ შორის განსხვავებას წარმოადგენს მხოლოდ განცხადებული სასაქონლო ნიშნის ბოლო ასო - „U“, რომელიც დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს არ ანიჭებს საკმარის განმასხვავებლობას. ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა და ქართულად გამოითქმის როგორც: „პიესფორ“ და „პიესფორიუ“. შესაბამისად, არსებობს მომხმარებლის მხრიდან აღრევისა და შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. ამასთან, მსგავსია საქონლის ჩამონათვალის ნაწილი. ორივე ნიშანი განცხადებულია მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალისთვის. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის

საქონლის ჩამონათვალი მთიანად მოიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალს.

აღნიშნულის გამო, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიენიჭა დაცვა მე-03, მე-18 და 25-ე კლასების განცხადებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ და უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „აეროპოსტეილ პროკიურმენტ კომპანი, ინკ.“ (Aeropostale Procurement Company, Inc.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო: აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია, როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. აპელანტის პოზიციით, განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-9 კლასის საქონლი ჩამონათვალი. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშანზე „PS4U“ (საიდ. N80062/03, IR 1089698) მოითხოვება დაცვა შემდეგი საქონლის მიმართ: „დამცავი სათვალეები, პენსნეები და მზის სათვალეები, ყველა ხელმისაწვდომი საცალო და ონლაინ მაღაზიებში, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალი აბსოლუტურად განსხვავებულია და მოიცავს მხოლოდ კომპიუტერულ ტექნიკასთან და ზოგადად ელექტრონიკასთან დაკავშირებულ საქონელს. შესაბამისად, არ არსებობს აპელანტი კომპანიის სასაქონლო ნიშნის რეგსტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, რადგან საქონლის ასეთი არსებითი განსხვავება განაპირობებს იმას, რომ არ არსებობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ამასთან, აპელანტი თანახმაა შეზღუდოს მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაერად: „დამცავი სათვალეები და პენსნეები გარდა, სამგანზომილებიანი გამოსახულებისათვის განკუთვნილი სათვალეებისა და მზის სათვალეები, ყველა ხელმისაწვდომი საცალო და ონლაინ მაღაზიებში.“

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის N3283/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „PS4U“ (საიდ. N80062/03, IR 1089698) უარი ეთქვა დაცვის მინიჭება მე-9 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-9 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ N13-03/16 სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.“

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით. სასაქონლო ნიშნებს შორის განხვავებას წარმოადგენს მხოლოდ განცხადებული სასაქონლო ნიშნის ბოლო ასო - „U” და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის სტილიზირებული შესრულება. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნული განსხვავება ვერ უზრუნველყოფს დაპირისპირებულ ნიშნებს შორის განმასხვავებლობას, ვინაიდან

განცახდებული სასაქონლო ნიშანი სრულიად მოიცავს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს - „PS4“.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ასევე, ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც - „პიესფორიუ“, ხოლო დაპირისპირებული, როგორც „პიესფორ“.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი თანახმაა შეზღუდოს მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაერად: „დამცავი სათვალეები და პენსნეები გარდა, სამგანზომილებიანი გამოსახულებისათვის განკუთვნილი სათვალეებისა და მზის სათვალეები, ყველა ხელმისაწვდომი საცალო და ონლაინ მაღაზიებში“. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული შეზღუდვის შემთხვევაში აღარ იარსებებს მომხმარებლის მხრიდან აღრევისა და შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო „PS4U“ (საიდ. N80062/03, IR 1089698) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალურის საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „აეროპოსტეილ პროკიურმენტ კომპანი, ინკ.“ (Aeropostale Procurement Company, Inc.) N13-03/16 სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის N3283/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „PS4U“ (საიდ. N80062/03, IR 1089698) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-9 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „PS4U“ (საიდ. N80062/03, IR 1089698) მიენიჭოს დაცვა მე-9 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „დამცავი სათვალეები და პენსნეები გარდა, სამგანზომილებიანი გამოსახულებისათვის განკუთვნილი სათვალეებისა და მზის სათვალეები, ყველა ხელმისაწვდომი საცალო და ონლაინ მაღაზიებში“.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ი. გიქორაშვილი

უ. ოშხნელი